№ 43 თებერვალი 26, ოთხშაბათი 1892 თებერვალი 26, ოთხშაბათი № 43

# ივერია


გაზეთის ღირს

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1892 სა პოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1892


დღესასწაულის გამო შემდეგი ნომერი გამოვა პარაკევს, 28 თებერვალს

ამ ნომერთან ერთად ქალაქს გარეშე ხელის მომწერთათვის იგზავნება განცხადება ვალერიან გუნიას კალენდრებისა.

გაზეთი „ივერია" თებერვლის პირველიდამ წლის დამლევამდე ღირს 9 მან. 50 კაპ.

**კნეინა ალექსანდრა მაკარის ასული მელიქიშვილისა შვილებითურთ** და **თავადი კონსტანტინე ლევანის ძე მელიქიშვილი** აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა, რომ გამოსვენება განსვენებულის **გენერალ-ადიუტანტის თავად ლევან ივანეს ძის მელიქიშვილის** გვამისა იქნება ხუთშაბათს, 27 თებერვალს, დილის 9 საათზე, განსვენებულის სადგომიდამ წმ. გიორგის (ქვაშვეთის) ეკკლესიაში წირვის გადასახდელადა და ანდერძის ასაგებად, ხოლო იქიდამ მამა-დავითის ეკკლესიაში—დასასაფლავებლად.

სახელმწიფო ბანკის ტფილისის განყოფილება აცხადებს, რომ, განკარგულებისამებრ სახელმწიფო ბანკისა, 27 თებერვალს, დილის 10 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე, ბანკის ამ განყოფილების სადგომში მოხდება გასყიდვა მეორე საქველ-მოქმედო ლატარიის ბილეთებისა დამშეულთა სასარგებლოდ და აგრეთვე ცალკე კუპონებისაც. ბილეთი ღირს 5 მანათი, ერთი კუპონი—1 მანათი. ვინც ცალკე კუპონების ყიდვას ისურვებს და არა მთელის ბილეთისას, იმ შემთხვევაში, ვიდრე ერთის ბილეთის ყველა კუპონი არ გასაღდება, მეორე ბილეთის კუპონს არ მოსჭრიან გასასყიდად. (3—2)

## ახალი ამბავი

*** სახელმწიფო საბჭოს წევრის, გენერალ-ადიუტანტის თავ. ლევან ივანეს ძის მელიქიშვილის დასაფლავებისათვის შემდეგი ცერემონიალი დაამტკიცა სამხედრო უწყებამ. თავ. მელიქიშვილს დაასაფლავებენ ხვალ, ამ თთვის 27-ს. დილის 9 საათზე განსვენებულის გვამს გამოასვენებენ მის სადგომიდგან და პროცესია გაემგზავრება მიხეილის ქუჩასა, ვერის ხიდსა, ოლგას ქუჩასა და გოლოვინის პროსპექტზე ქვაშუეთის ეკკლესიაში. პროცესიას წინ გაუძღვება ნახევარი ესკადრონი ჟანდარმებისა, შემდეგ ხუთი აფიცერი ასისტენტებითურთ ბალიშებით, რომელზედაც ეწყობა განსვენებულის ორდენები, შემდეგ სამღვდელოება, კუბო, ამფოანი გვირგვინებით, განსვენებულის ცხენი და ჯარი: მე-19 გრენადერთა სამეგრელოს პოლკის ორი ბატალიონი თავისის დროშით, ექვსი ზარბაზანი, კავკასიის გრენადერთა არტილერიის ბრიგადა და ოთხი ესკადრონი ტვერის დრაგუნის პოლკისა. ამ ცერემონიის უფროსად დანიშნულია დივიზიის უფროსი გენერალ-ლეიტენანტი ავინოვი. ანდერძის აგების შემდეგ ქვაშუეთიდგან პროცესია წავა გოლოვინის პროსპექტზე, სასახლისა, სოლოლაკისა და ლაბორატორიის ქუჩებზე მამა-დავითის ეკკლესიაში. ჯარი, ზარბაზნებს გარდა, თან უნდა გაჰყვეს, მხოლოდ ზარბაზნების სროლა დასაფლავების დროს არსენალის მთაზე იქნება.

*** ამას წინად ჩვენ გვქონდა მოხსენებული, რამდენი პურია შეკრებილი სასოფლო პურის მაღაზიებში და აგრეთვე რაოდენობა ფულისა, და თან ისიც გამოვაცხადეთ, რომ როცა დანარჩენ მაზრის უფროსებისაგან მოვა ცნობანი, მაშინვე შევატყობინებთ მკითხველებსაო. აი რა ცნობანი მოუვიდა ტფილისის გუბერნატორს: ბორჩალოს მაზრაში შეუკრებიათ 44,254 ფუთი პური და 1,732 ფუთი ქერი; ფულად 25,869 მან. 2 კაპ. თელავის მაზრაში: 45,457 ფუთი პური, 2,045 ფუთი ქერი და ფულად 11,279 მ. 63 კ. დარჩენილია ვალი 1,577 მ. 88 კ. გორის მაზრაში: 75,196 ფუთი პური, 11,831 ფუთი სიმინდი და 19,754 ფუთი ქერი, ფულად-კი 4,788 მან.

*** გუშინ-წინ სამეურნეო საზოგადოების მორიგი კრება მოხდა, რომელსაც უნდა განეხილა მორიგნი საქმენი და სხვათა შორის უნდა დაესახელებინა კანდიდატები საბჭოს წევრებისა. სანამ კანდიდატებს დაასახელებდა კრება, აღიძრა ერთი საგანი, რომელმაც ცხარე ბაასი გამოიწვია და კინაღამ ღამის თორმეტ საათამდის გასტანა. ეს საგანი ის იყო, რომ ახლად ჩაწერილს წევრებს მიეცეთ, თუ არა უფლება საწევრო ფულის შემოუტანლად მიიღონ მონაწილეობა საბჭოს წევრების არჩევანშიო. მომეტებული ნაწილი კრებისა ამტკიცებდა: წესდების ძალით, ახლად ჩაწერილ წევრებს უნდა მიეცეთ ეგ უფლება, ხოლო მოვალენი არიან საწევრო ფული შემოიტანონ წლის განმავლობაშიო. რამდენიმე წევრი-კი ამტკიცებდა, სანამ ფულს არ შემოიტანენ, არც წევრობა ეთქმით იმათ და ვერც საბჭოს წევრების არჩევანებში მიიღებენ მონაწილეობასაო.

ცხარე ბაასი გამოიწვია იმ გარემოებამაც, რომ ძველს წევრებს ბევრს ორი-სამის წლისა არ შემოუტანია და რა ვუყოთო. წესდების ძალით, იმათ დაკარგული აქვთ უფლება წევრობისა და ეგენიც რომ გამოვრიცხოთ, თვით საზოგადოებას ბოლო მოეღებაო.

კამათობა ამ გვარად გადაწყდა: ძველს წევრებს მოვაგონოთ ფულის შემოტანა და ახლებს-კი არ ექნებათ უფლება საბჭოს წევრების არჩევანში მიიღონ მონაწილეობა, თუ ხვედრს ფულს არ გადიხდიან 29 თებერვლამდეო.

წლიური კრება დანიშნულია პირველ მარტისათვის თვით საზოგადოების სადგომში.

*** გუშინ, 25 თებერვალს, ტფილისის სამოსამართლო პალატამ დაიწყო გარჩევა გორის მაზრის უფროსად ნამყოფის კაპიტან განსევიჩის სადიფამაციო საქმისა. თავმჯდომარეობდა მალინოვსკი, წევრებად იყვნენ კოლბასინი და ვერხოვსკოი, ბრალსა სდებდა ბრალმდებლის ამხანაგი ხოლოდკოვსკი. კაპიტანი განსევიჩი უჩიოდა გაზ. „Новое Обозрѣніе"-ს, რომმან სამჯერ დაჰბეჭდა ჩემს შესახებ გორიდგან მოწერილი წერილი და ამით ჩემს სახელს ჩრდილი მიაყენაო. ჯერ ერთი, შარშან 9 ივლისის მე-2594 №-ში ნათქვამია, რომ გორის მაზრაში ავაზაკები გამოჩნდნენ, ბ-ნი მაზრის უფროსი მივიდა, დიდი საყვედური უთხრა ბოქაულს ჩიკვაიძეს და, როცა ბოქაულმა მოახსენა, აგერ აქვე არიან ავაზაკები, თქვენ თვით მოუხერხეთ რამეო, განსევიჩი ჩაჯდა ეტლში და უკანვე გასწია. კიდევ მადლობა ღმერთს, რომ მშვიდობით მიაღწია გორსაო. მეორე, 18 აგვისტოს მე-2631 №-ში დაბეჭდილი იყო: დაჭერილი გორის ავაზაკები ისეთს

# ფელეტონი

## ჭეშმარიტი მწუხარება

(მოთხრობა პოლ მარგერიტტისა)

— იმ კაცს ცოლი უყვარდაო! სთქვა ერთმა იმ ნაირის კილოთი, თითქოს უნდა ბოდიში მოჰხადოს, ან გაამართლოს ქმარიო.

— რაო? უყვარდა! განცვიფრებით წამოიძახა მკურნალმა მონტრემ... თქვენ ვითომ გნებავთ დამაჯეროთ? ქმარს მხოლოდ ვიღამაც ჩასძახა, ცოლი გლალატობსო, და ისიც სრულიად საქმის გამოუწვრილებლად მიდის შინ, მძინარე ცოლთან შედის და ორჯელ დამბაჩას ახლის შუბლში. ეს მეტის-მეტად საზარელი ამბავია! მეტის-მეტი მხეცობაა! ასეთი კაცი იშვიათი რამ ნადირი უნდა იყოს და საშინლად ფუქსავატი, თავ-მოყვარე და გარყვნილი კაცი! უყვარდაო! არა, ბატონო, იმას რომ ცოლი ჰყვარებოდა, თითონ მოიკლავდა თავსა და ცოლს-კი ხელს არ ახლებდა. მე რომ ერთი ნაფიც-ვექილთაგანი ვიყო, მაგის გამართლებასა და სასჯელის შემსუბუქებას-კი არ ავიჩემებდი, ვითომ-და იმის გამო, რომ ექვმა აალელვა და დანაშაულობა ისე ჩაადენინაო. არა, მე ვეცდებოდი მაგის გამტყუნებას, როგორც მკვლელისას! ეგ საზარელი მკვლელია, გარყვნილი მკვლელი, და ეგ მხეცობა მხოლოდ იმიტომ ჩაიდინა, რომ საზოგადოების მითქმა-მოთქმისა ეშინოდა, ჰსურდა თავისი უსაფუძვლო თავ-მოყვარეობა არ დაემცირებინა. არა, დროა, დროა, რომ მაგისთანა მხეცი ქმრები აღარ იყვნენ! ახირებული ამბავია, ღმერთმანი! ჩვენში ან სულ გადამხეცებული ქმარი უნდა იყოს და ან სრულიად დუნე, მომთმინო, მონა ცოლისა. კაცს ასე ეგონება, ეს არის და ესა, ამ ორ გვარის ქმრის მეტი სხვა გვარი ქმარი აღარ შეიძლებაო, რომ იშვიათად, ათასში ერთხელ, ცოტა სხვა ხასიათის კაცი არ გამოჩნდებოდეს ხოლმე და სხვა ნაირის ნაღველის ამბავს არ გავიგონებდეთ. შეიძლიან, მოგახსენოთ კიდეც, რომ...

— ბრძანეთ, ბრძანეთ, ბატონო მკურნალოო! სთხოვა მასპინძელმა და თან სტუმრებს ყავა ჩამოურიგა.

მკურნალი მონტრე როგორც ერთბაშად აღელდა, ისე ერთბაშადვე დამშვიდდა. წყნარად გაიქნია ჭაღარით შემოსილი, ძირში გადაკრეჭილი თავი, მოურია კოვზი ყავის ფინჯანს შაქრის გასადნობად და შემდეგ წყნარად შეხვრიპა.

— ეს ამბავი, რასაც ეხლა მოგახსენებთ, ბატონებო, იქნება თქვენ საიმისოდ არ მოგეწონოთ კიდეც, მაგრამ მე-კი ძვირად მიღირს და მიყვარს იმისი მოგონება, რადგან ჩემის ყმაწვილობის დროისაა.

სტუმრებმა კვლავ სთხოვეს, გვიამბეო, და ბ-ნმა მონტრემაც ჯერ სიგარას მოუკიდა და შემდეგ დაიწყო:

— იმ დროს, როცა დოქტორობის დისერტაციასა ვწერდი, უფრო ხშირად ჩემის მეგობრისას (მონტრე ჩაფიქრდა, მგონი სახელს იგონებდა) კლემანისას ვიარებოდი. კლემანი ჩემზედ რამდენისამე წლით უფროსი იყო, ჩვენი მამებიც კარგი მეგობრები იყვნენ და ჩვენც შევიყვარეთ ერთმანეთი. კლემანი გმირივით კარგის სახის წარმოსადეგი კაცი იყო, ქერა წვერ-ულვაშიანი და მოშაო თვალებიანი. იმისი ცოლიც—კლემანს ცოლი ჰყავდა და ერთი ოთხის წლის ქალიც—ძლიერ ლამაზი, ეშხიანი და საროს ტანის, ნაზი ქალი იყო. დამშვიდებულს პირი-სახეზე ნიადაგ თითქოს რაღაც ყმაწვილური სიცელქე ბ ნაზი გულ-დახურულობა ემჩნეოდა და ემჩნეოდა. ეს გულ-დახურულობა და ეშმაკობა ღიმილშიაც ეტყობოდა, თვალების ტრიალშიაც და მაშინაც, როდესაც თავისს შობაასეს ის გადაჰხედავდა ხოლმე, რომ სახეზედ დაცინვა აშკარად ეტყობოდა. ხომ ამბობენ, ადამიანს უფრო ის მოსწონს, ვინც აგებულებით იმისგან ძლიერ განსხვავდებაო. თუ ეს მართალია, კლემანსა და იმისს ცოლს ძლიერ უნდა ჰყვარებოდათ ერთმანეთი.

აი ეხლა თქვენ თითონ მიხვდებით, რაცა ყოფილა ნამდვილი დარდი და ნაღველი, რომელიც არც აქეთ-იქით ეხეთქება და არც ჰშფოთავს და ზვირთდება, რომ რა არის საზოგადოების ყურადღება მივიქციოო.

ერთხელ ვიღამაც ჩემის სახლის კარის ზარი დააწკარუნა. მივედი, გავაღე და კლემანი-კი დამხვდა. იმ საღამოს იმათსას ვიყავ დაპატიჟებული სადილად და ამიტომ არ მოველოდდი კლემანს. შემოვიდა ოთახში და პირველად იმის მეტი ვერა შევამჩნიე-რა, რომ ცოტაოდნად ხელები უკანკალებდა. იმისი გაბარდნული წვერიც ხელს მიშლიდა, რომ სახეზედაც არის შემეტყო რამე.

კლემანი მომიბრუნდა და მითხრა:

— მოდი, სხვა დროს როდისმე მოდი ჩვენსა სადილად, დღეს ჩემი ცოლი ცოტა როგორღაც უქეიფოდ არისო.

— იმედია, რომ საიმისო ძნელი ავადმყოფობა არა იქნება-რა.

— შაკიკი აუვარდა.

კლემანი ფანჯრისაკენ მიბრუნდა და თითებით შუშას რაკუნი დაუწყო. რამდენსამე წუთს შემდეგ ახლა სტოლთან მოვიდა, სადაც მე ჩემს საექიმო იარაღს ქონითა ვწმენდავდი. კლემანმა ნესტარი აიღო ხელში, გულზე მიიდო და წყნარადა და დამშვიდებითა მკითხა.

— აბა სწორედ რა ადგილას არის გული?

მე მარცხენა მხარესკენ ვუჩვენე, აი გული სწორედ მანდ არის-მეთქი.

— ძლიერ ღრმად უნდა დაიტაროს ეს ნესტარი, რომ გულს მოხვდესო? მკითხა კლემანმა და ნესტარი ისევ გულთან ეჭირა.

— ღრმად-კი არა-და, ერთი ბეწვაც რომ დაიტაროს, მაშინვე გულს მოჰხვდება და კიდეც გათავდება საქმე.

კლემანმა ჩაციებით შემომხედა და მე მხოლოდ მაშინ შევატყე, რომ თვალები ამღვრეული ჰქონდა და რაღაც სიბოროტე ეხატებოდა: უეცრად თავში აზრმა გამიელვა: აი, ეს არის ეხლა, ჩემს თვალ-წინ კლემანი ნესტარს მართლა დაიკრავს გულში და გათავდება-მეთქი. ეს ხომ ყოვლად უსაბუთო აზრმა გამირბინა, მაგრამ განა თქვენ-კი არ არსად მოგსვლიათ, წინასწარ არ გიგრძვნიათ რაღაც საზარელი მოსახდომი და გული არ აგკანკალებიათ ამის გამო? კლემანს ნესტარი გამოვართვი. რა წამსაც ვთხოვე, მაშინვე მომცა.

კლემანი ბუხარს მიუჯდა, ცეცხლს დაუწყო ყურება და თან ჩუმად, ხმაამოუღებლად წვერზე ხელს ისვამდა. თუმცა აქ არა-გასაკვირველი და არა-ჩვეულებრივი არა იყო-რა, მაგრამ მაინც-კი შიშით გული მიკანკალებდა. მეტი მოთმენა აღარ ძალმიძდა. მივედი, ხელი დავუჭირე და შევეკითხე:

ავაზაკობაშიაც-კი გამოტყდნენ, რომელშიაც წინად არავინ იცოდა, ვინ იყო დამნაშავეო. მესამე, 15 ნოემბერს მე-2717 №-ში ნათქვამი იყო, მაზრის უფროსი კაპიტანი განსევიჩი გადაიყვანეს და იმის მაგიერ ა. გ. სტეფანოვი დანიშნესო. განსევიჩი სჩიოდა, რომ თუ ავაზაკები მაშინვე ვერ დავიჭირეთ, იმიტომ-რომ ოც-და-ათი ხელქვევითი მყავდა და ამათში ოცი თავ-თავისს სადარაჯოში იყო დაყენებულიო. გაზეთი-კი საყვედურს მეუბნება ავაზაკების არ დაჭერისასაო და სხვ. ბრალმდებელმა ხოლოდკოვსკიმ, ერთს გარდა, არც ერთი წერილი არ იცნო გაზეთისა განსევიჩის შეურაცხების მიმყენებლად. მხოლოდ პირველ წერილის მეორე ნახევარი მიიჩნია ყურადღების ღირსად სასამართლოს მხრივ და ითხოვდა, რომ დასაჯეთ, ფულად ჯარიმა გადაახდევინეთ ბ-ნს რედაქტორს „Нов. Обоз.“-სას ვ. მ. თუმანიშვილსაო. ბრალდებულის ვექილი ბ-ნი გ. ს. ტერ-სტეფანოვი უარ-ჰყოფდა შეურაცხმყოფლობას ზემოხსენებულის წერილიას. სასამართლოშივე გამოირკვა, რომ კაპიტ. განსევიჩი მართლა გადაუყვანიათ და ტფილისის გუბერნიის ერობის დარაჯის ინსპექტორად დაუნიშნავთ. ვ. მ. თუმანიშვილმა არაფრის თქმა არ ინდომა. სასამართლომ ნაშუადღევის ოთხს საათზედ გამოიტანა განაჩენი ® „Нов. Обоз.“-ს რედაქტორი ბ-ნი ვ. მ. თუმანიშვილი სრულიად მართალი იცნო სამსავე ბრალში.

*** გუშინ-წინ, 24 თებერვალს, საღამოს საათის ათის ნახევარზედ, ტფილისის მიხეილის საქალაქო სამკურნალოში პოლიციის მე-3 განყოფილებიდგან მოიყვანეს ოც-და-სამის წლის, მშვენიერის სახის ყმაწვილი ქალი, თეზაფით მოწამლული. როგორც აღმოჩნდა, ამ ქალს თითონვე მოეწამლა თავისი თავი და თეზაფი დაელია. მიზეზი თავის მოწამლვისა ისა ყოფილა, რომ ქალი დიდად უბედური იყო თურმე, ეს ქალი გვარად ხეჩიკოვისაა. მოწამლულმა საავადმყოფოში განაცხადა, რომ ხუთი წელიწადია, რაც მივსთხოვდი პოლიაკს კულიკოვსკის, და მას შემდეგ ბედნიერი დღე არ გამთენებიაო. ჩემი ქმარი მე და თავისს შვილებს თავს ანებებს, სადღაც დადის და ამის გამო სიცოცხლე ჩამწარებული მაქვსო. ტყუილად გადამარჩენთ სიკვდილს, რადგან თავს არ ვიცოცხლებ და კიდევ ავიტეხავ რასმეო. წამალმა მოწამლულს დროზედ მიუსწრო, სიკვდილს გადაარჩინეს და ამ ორიოდე დღეში სრულიად გამობრუნდება კიდეც.

*** 28 ამ თთვისას ტფილისის ქალაქის საბჭომ თავისს მორიგს კრებაზედ, სხვათა შორის, უნდა განიხილოს შემდეგი საგნებიც: ა) მოხსენება გამგეობისა იმის თაობაზე, რომ ტფილისი უზრუნველ ჰყოს წყალით; ბ) მოხსენება ხმ. ზუბალოვისა, რომ თეატრის ბილეთებს და სხვა ამ გვარს ხარჯი დაედოს ქალაქის სასარგებლოდ, და გ) თხოვნა ცხენის რკინის გზის უსახელო საზოგადოებისა იმის შესახებ, რომ ხსენებულს საზოგადოებას ქალაქმა აპატიოს 1891 წ. 11 ნოემბერს შეწერილი ჯარიმა.

*** ოზურგეთი: როგორც „ივერიის“ მკითხველებს მოეხსენებათ, ამას წინად აქ ვასაძის მაღაზია გაჰქურდეს. ამ დანაშაულობის გამო ერთი ჯარის-კაცთაგანი, გვარად სალუქვაძე, გამომძიებლის განკარგულებით, სამხედრო საპყრობილეში იყო დაპატიმრებული. ბრალდებული 22 ამა თთვისას ღამით გაიპარა საპყრობილიდგან და სადღაც მიიჩქმალა. როგორც ამბობენ, პატიმარს ფანჯრის რკინები გამოუღუნავს, გამოუმტვრევია და ამ ღონისძიებით მოუხერხებია მართლ-მსაჯულების ხელიდგან თავის დახსნა.

*** ქუთაისი: წარსულის წლის დამლევს სამეურნეო საზოგადოების აქაურმა განყოფილებამ აგრონომს ბ-ნს ს. ნ. ტიმოფეევს სთხოვა შეადგინოს მოკლე დარიგება იმისი, თუ როგორ უნდა უწამლონ ვაზს მილდიუსა და ნაცრისაგან. ბ-ნმა ტიმოფეევმა ეგ თხოვნა კიდეც შეასრულა და მისი დარიგება ამ მოკლე ხანში ქართულად გადაითარგმნება. ამ წიგნაკის დაბეჭდვას უსასყიდლოდ ჰკისრულობს მამა დ. ღამბაშიძე, „მწყემსის“ რედაქტორი. წიგნაკი მსურველთ მუქთად დაურიგდებათ.

*** მერვე: როგორც წინადაცა გწერდით, ამ ზამთარმა ზაფხულის მსგავსად ჩაიარა, მხოლოდ 17-სა და 18 თებერვალს შეიცვალა ჰაერი და ნახევარ არშინამდის თოვლი დასდო. დღეს-კი, ესე იგი 19-ს, ისევ ისეთი მზიანი დღე დგას, როგორც წინად იყო, და, თუ ცოტა სუსხი აქვს, ეგ თოვლის ბრალია.

ყველიერებმა კარგად ჩაიარა: არსად უსიამოვნება არა მომხდარა-რა სმისა და ქეიფის დროს.

*** გაზეთ „Кавказъ“-სა და ჩვენს გაზეთში იყო დაბეჭდილი, რომ ვითომ ეჩმიაძინის სინოდმა ჩატეხილის ხიდის გამკეთებელს ტერ-კოსტა არარატიანს კვლავ ნება დართო მღვდელ მოქმედებისაო. ამას გარდა, განსაკუთრებულის კომისიის თხოვნით, მღვდლები ხარაზიანი, გალუსტიანი და არარატიანცი დათხოვნილ იქმნენ სამსახურიდგანაო. ეხლა გაზეთს „Кавказъ“-ს დეპეშა მოსვლია კომისიის თავმჯდომარე ავლანიანისაგან, რომ ჩვენ მაგ მღვდლებისათვის მღვდელ-მოქმედების ნება არ მიგვიცია და ეპარქიის უფროსი უკანონოდ მოქცეულა, თუ ჩვენგან გადაყენებულ მღვდლებს მღვდელმოქმედების ნებას აძლევსო.

*** იმავე გაზეთს ეჩმიაძინიდგან აუწყებენ დეპეშით: „ნამდვილ ამბავს გაუწყებთ, რომ 23 თებერვლის არჩევანები ავლაბრის ეკკლესიაში სინოდის მოწერილობის წინააღმდეგ სწარმოებსო“.

*** შაბათს, 22 თებერვალს, ქალაქის მოურავმა თავ. ნ. ვ. არღუთინსკი-დოლგორუკიმ, გამგეობის წევრებმა პ. ა. იზმაილოვმა, ა. ა. ივანენკომ და ქალაქის ტეხნიკოსმა დაათვალიერეს ვერის ხიდის ზემოდ მდებარე სტრუვეს მამული, რომელიც ქალაქმა შეისყიდა. ქალაქს განზრახვა ჰქონდა, რომ იქ გადმოეტანა მადათოვის კუნძულზედ აშენებული ხეტყის ქარხნები, მაგრამ ეს ადგილი ამ საქმისათვის უვარგისი აღმოჩნდა, რადგანაც ჯერ ერთი, წყალ-დიდობას ამ ადგილის კარგა ნაწილი წყლით არის ხოლმე დაფარული, და მეორეც ისა, რომ ქალაქმა ბევრი ფული უნდა დახარჯოს, რომ ამ ადგილთან მდებარე სხვა მამულებიც შეისყიდოს.

ამ გვარად ბ-ნ სტრუვესაგან ქალაქის მიერ 35,000 მანათად შესყიდული მამული მხოლოდ სატივოსთვის არის გამოსადეგი და სხვა არაფრისათვის („Нов. Обоз.“).

*** გორის ხიდის იჯარით გაცემის საქმე ტფილისის საგუბერნიო მმართველობამ კავკასიის მმთავარ-მართებელს გადასცა განსახილველად. („Нов. Обоз.“)

*** 23 თებერვალს, საღამოს 10 საათზე, პოლიციელმა პერეხოდოვმა შეიპყრო ტფილისის მცხოვრებელი ვასილ ქანიძე, რომელსაც ექვსი ჩოხა (ჩოხები ტანზე ეცვა), ოთხი ახალუხი და ოთხი ნაჭერი შალი მოეპარა და მიჰქონდა. დამნაშავემ არა სთქვა, ვისგან მოეპარა ზემოხსენებული ნივთეულობა.

*** 24 თებერვალს პოლიციის მეექვსე ნაწილში ჯაფარ-ჰასან-ოღლი წაეჩხუბა ისკანდერ-ოღლის და მარცხენა ხელში დანით დასჭრა. დამნაშავე შეიპყრეს.

## საეპარქიო მთავრობის განკარგულებანი:

### ახალს ადგილზედ გადაყვანილ იქმნენ:

კურისუბნის სამრევლოს მღვდელი სტეფანე ბერიძე, თავისისავე თხოვნის თანახმად, გადაყვანილ იქმნა ტფილისის მაზრის სოფ. ახალსოფლის სამრევლოში.

უადგილოდ მყოფი მღვდელი დიმიტრი დებურჩევი, თავისისავე თხოვნის თანახმად, დანიშნულ იქმნა სოფ. ალაკილისის ეკკლესიის მღვდლის თავისუფალს ადგილზედ.

ჩარგალის სამრევლოს მღვდელი ვლადიმერ გძელიშვილი, თავისისავე თხოვნის თანახმად, გარდაყვანილ იქმნა ახალსოფლის სამრევლოში.

ბარისახოს სამრევლოს მღვდელი ონისიმე მოსიაშვილი, თავისისავე თხოვნის თანახმად, გარდაყვანილ იქმნა ჩარგალის სამრევლოში.

ახალსოფლის სამრევლოს მღვდელი იოანე ზარიძე, თავისისავე თხოვნის თანახმად, გარდაყვანილ იქმნა ბარისახოს სამრევლოში.

დიაკვანი ოკამის ეკკლესიისა სიმონ ნაუშვილი და ყანჩაეთის ეკკლესიისა კონსტანტინე გედევანიშვილი, თავიანთისავე თხოვნის თანახმად, გადაყვანილ იქმნენ ერთი მეორეს ადგილზედ.

დიაკვანი ჯარაიარის სამრევლოსი ალექსანდრე თეოხარი, თავისისავე თხოვნის თანახმად, გადაყვანილ იქმნა კვირაცხოვლის სამრევლოში.

### შტატს გარეშე დათხოვნილ იქმნენ:

თელავის მაზრის სოფ. არტანის სამრევლოს მღვდელი დიმიტრი აღნიაშვილი, თავისისავე თხოვნის თანახმად, დათხოვნილ იქმნა შტატს გარეშე ავადმყოფობის გამო.

ხევსურეთის სოფ. გულისის სამრევლოს მღვდელი გიორგი გოცირიძე, თავისისავე თხოვნის თანახმად, შტატს გარეშე დათხოვნილ იქმნა აკადმყოფობის გამო.

სანამეროს ეკკლესიის დიაკვანი კონსტანტინე ოსეფაშვილი, თავისისავე თხოვნის თანახმად, დათხოვნილ იქმნა შტატს გარეშე.

---

— ავად ხომ არა ხარ-მეთქი?

მაჯა სწორედ უცემდა. კლემანი უცნაურის, მწარე ღიმილით შემომაშტერდა და უეცრად... თითქოს მძლავრმა მდინარემ ბურჯი გაარღვიაო, საშინელი ტირილი მორთო და გულზე მომესვენა უგონოდ. გამწარებული კლემანი ასე ქვითინებდა ერთი თხუთმეტიოდე წამი. მე მოვშორდი და დასამშვიდებელ წამლის მზადებას შევუდექი, კლემანი ჩაეკრა დივნის მუთაქას პირქვე და ისე ქვითინებდა. სიბრალულითა და საცოდაობით გული მომიკვდა, რომ იმ ვეშაპს კაცს ბავშვსავით მტირალსა ვხედავდი. ბოლოს, როგორც იყო, დამშვიდდა, თვალები მოიწმინდა და ცხვირი მოიხოცა. როცა ლაპარაკის გუნებაზედ დადგა, ისევ იმ უცნაურისა და მწარის ღიმილით შემომხედა, შემდეგ თავი ჩაღუნა და მითხრა:

— განა სასაცილო ამბავია ეს ამბავი, არა! წელან გითხარი, სადილად ნუ წამოხვალ, ჩემს ცოლს შაკიკი აქვს-მეთქი.—ელემანს უნდოდა გაეცინა, მაგრამ ვერ მოახერხა.—ტყუილი გითხარი... ეს მხოლოდ იმიტომრომ ცოლი მღალატობს.

კლემანმა ეს სიტყვები წყნარად და ძალის-ძალათი სთქვა. შემდეგ ჩქარა მოაყოლა ლაპარაკი, თითქოს უნდოდა ერთბაშად ამოეთქვა, რაც გულში საიდუმლო ჰქონდა:

— დიაღ, სასაცილო ამბავია! იცი ვისზედ გამცვალა? დე-პრეზე (ეს კაცი კლემანის მეგობარი იყო, მაგრამ მეკი ჩემს დღეში იოტის ოდენა ნდობაც არა მქონია მისი)... დე-პრეზე! დე-პრეზეო! განიმეორა კლემანმა ზედიზედ, თითქოს რაღასაც საზრავსო, და შემდეგ განაგრძო: გუშინ დილის საქალაქო ფოსტით მომივიდა ქვეშ სახელ და გვარ მოუწერელი, უხეირო და უსუფთაო წერილი ჩემის გაგდებულის მზარეულის ქალისაგან. თუმცა ამ ნაირი სისაძაგლე მძაგს, მაგრამ მაინც მაღელვებს და მაწუხებს. მე ჩვეულებრივ საუზმეს შემდეგ წამოვედი შინიდგან და ნაშუადღევის ოთხს საათზე დავბრუნდი, ე. ი. უფრო ადრე, ვიდრე წინად დავდიოდი. მოსამსახურეს ვკითხე:

— არავინ მოსულა-მეთქი?

— არავინ, გარდა ბ-ნის დე-პრესი. ის-კი აქ გახლავთ, ეხლაც ქალბატონთან არისო.

განა უცნაური ამბავი არ არის: მოსამსახურეს თვალებში რომ შევხედე, ასე მეგონა, დამცინის-მეთქი.

მე სალონში აღარ შევსულვარ, ფეხ-აკრეფით, ფრთხილად ჩემის ცოლის საწოლისკენ წავედი, რომელშიაც კარები სალონიდგან გადის. იატაკზედ სქელი ხალიჩები იყო დაფენილი და ამიტომ ჩემი ფეხის ხმა აღარ ისმოდა. ყური დავუგდე და ვერაფერი ვერა გავიგონე-რა. ამან უფრო ამიძგერა გული, გავიხედე და იცი, რა ვნახე? დივანს ზემოდ რომ ვენეციური სარკეა კედელზე, შიგ ჩემის ცოლისა და დე-პრეს სახე სჩანდა! ერთმანეთს ჩაჰკონებოდნენ, დე-პრე ტუჩებში ჰკოცნიდა ჩემს ცოლსა.

შენა გგონია, რომ მაშინვე შევვარდი და ვეცი ორივეს? (კლემანმა ისევ თავისის უცნაურისა და მწარის ღიმილით შემომხედა.) არა, ჩემო საყვარელო მეგობარო, ასე არ მოვქცეულვარ. არ ძალ-მიძდა, გესმის, არ ძალ-მიძდა შევსულიყავ და ჩემის ცოლისათვის დანაშაულება მემხილებინა! წამოვედი ისევ ფეხ-აკრეფით ქურდივით და ჩემს ოთახში შევედი. ფეხზე ძლივს-ღა ვიდეგ; ცივმა ოფლმა დამასხა. ვიჯექ ნახევარ საათი უძრავად სავარძელზე გონება-დაბნეული და ვფიქრობდი: შევიდე, თუ არა-მეთქი? მაგრამ, არა, არ ძალ-მიძდა ამისი ქმნა. თუნდა ათს დე-პრესთანას მივარჩობდი, მაგრამ ჩემის ცოლის დამცირება, იმისი შერცხვენა—არა, არა, არ შემეძლო. (კლემანს გააჟრჟოლა). ვიცოდი, რომ ვერც შევხედავდი ცოლსა და ვერც იმისის ხმის გაგონება შემეძლო. არ ძალ-მიძდა ან იმისი თავის გამართლება მომესმინა და ან აკანკალებით გამოტეხა. თუმცა საშინელი ეჭვიანობა მიღრღნიდა გულსა, ძლიერი ნაღველი მიხუთავდა სულსა ® საშინლად მრცხვენოდა, მაგრამ მაინც ის აზრი მძლევდა, რომ ცოლი არ შემერცხვინებინა, თავი არ მომეჭრა, არ დამეტანჯა. ჩემს თავს ვეუბნებოდი, ხომ ჩემს მეტს არავის დაუნახავს, ჩემს მეტს ხომ არავის გაუგია, დეე, თავს დავანებებ, ვითომც სრულიადაც არა მომხდარა-რა მეთქი! წამოვედი და სამი საათი ქალაქში დავხეტიალებდი. შემდეგ კლუბში შევედი და იქიდგან წერილი მივწერე ცოლს. სადილად არ მოვალ-მეთქი. ეს ამბავი, როგორც გითხარ, გუშინ მოხდა. დღეს საუზმე რესტორანში ვჭამე და აი, გესმის, ამ სახით ჩემი ცოლი ჯერ არ მინახავს. უთუოდ, უთუოდ უნდა მოვერიდო, თორემ თვალებზედვე, სახეზედვე შემატყობს და ნახევრად მაინც მიჰხვდება, რაც ამბავია. თუ შევხვდი, უნდა კიდეც გამოველაპარაკო, და ხომ იცი, რაც მოჰყვება იმ გამოლაპარაკებას?

კლემანი გაჩუმდა და მძიმედ სუნთქავდა. ლაპარაკის დროს ძლიერს გრძნობაზედ იყო მოსული, მაგრამ მარტივად-კი ლაპარაკობდა, კილო ძლიერ დრამატიული ® ჩვეულებრივი ჰქონდა იმის ლაპარაკს. ასეთი არტისტი რომ სცენაზე მენახა, ძლიერ მომეწონებოდა.

— ახლა რას აპირობ?

კლემანმა შემომხედა, მხრები აიშმუშნა და წაილუღლუღა:

— არ შემიძლიან, ცოლს ვერა ვნახავ.

მეც სიბრალულით ვუთხარი:

— გიყვარდა, არა, და ეხლაც კიდევ გიყვარს ცოლი.

კლემანმა მშვიდობიანად მიპასუხა:

— დიაღ, მიყვარს და სწორედ იმიტომ მიმძიმს იმისი ნახვა. მზადა ვარ ვაპატიო სულ ყველაფერი, თუმცა ეს დიდი სულ-მდაბლობა და სისაძაგლეა ჩემის მხრით!

კარების ზარი ვიღამაც დაარაწკუნა. ლაპარაკი შევწყვიტეთ. მე ყოყმანი დავიწყე.

— ჰო, ჰო, მითხრა კლემანმა: წადი, კარი გაუღე, რატომ არ უნდა გაუღო?

წავედი კარის გასაღებად. ორი ჩემი მეგობარი მოსულიყო. შემოვიყვანე და მეც უკან შემოვყე. კლემანი უსერთუკოდ იდგა ფანჯარასთან და ზურგი კარებისკენა ჰქონდა შემოქცეული. უკან არ მოუხედნია, მაგრამ შევატყე, რომ რაღაც დაიცა გულში. მივარდი საშველად. კლემანი წამობარბაცდა, მომესვენა, თითონაც წაიქცა და მეც წამაქცია, რადგან მძიმე კაცი იყო. კლემანი უსულოდ დაეცა იატაკზე ზურგით. ნესტარი პირდაპირ გულში ჰქონდა ჩარჭობილი და მხოლოდ ორიოდე ცვარის სისხლით-ღა იყო პერანგი შეღებილი. საბრალოს არც ხმა ამოუღია და არც უბრალოდ დაუკვნესია, მხოლოდ ერთი ამოიოხრა და სულიც დალია.

დაასრულა მკურნალმა ეს ამბავი და სტუმრებს შეხედა, თითქოს უნდოდა გაეგო, აბა ამისას თქვენ რას იტყვითო.

სტუმრებმაც მწუხარედ ჩაჰკიდეს თავი ნიშნად თანხმობისა.

ს. გძელიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიკვდილის გამო ნუსხადგან გამოირიცხა გორის მაზრის სოფ. ცედანის სამრევლოს მღვდელი ალექსანდრე გოგიჩაშვილი. („საქ. საექსარ. სას. მოამბე“)

# დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**ქუთაისი.** დღეშით გაცნობეთ, რომ 20-ს ამ თთვისას საქალაქო საქმეთა საკრებულომ კანონიერად არ სცნა და გააუქმა მესამე რიგის ხმოსანთა არჩევანებიო. დღეს-კი უნდა შეგატყობინოთ, რომ ორის დღის შემდეგ, ესე იგი დღეს, 22-ს ამ თთვისას, საქმე სხვა რიგად დატრიალდა. საკრებულომ გააუქმა თავისი წინანდელი დადგენილება და კანონიერად სცნა არჩევანები. იქნება ასეთი გადაბრუნება საქმისა არ დაიჯეროთ და მეც არ მერწმუნოთ, მაგრამ უნდა მოგახსენოთ, რომ საქმე სწორედ ასე გახლავთ.

რა თქმა უნდა, რომ მას შემდეგ, რაც ორმა ამომრჩეველმა საჩივარი შეიტანა საკრებულოში, ქუთათურებს იმის მეტი სალაპარაკო არა ჰქონდათ, დაამტკიცებს, თუ არა საკრებულო მესამე რიგის ხმოსანთა არჩევანებსაო? 20-ს ამ თთვისას, როგორც გაუწყეთ, საკრებულომ გააუქმა არჩევანები. ოთხი წევრი საკრებულოსი არჩევანების გაუქმების მომხრე იყო, ხოლო სამი—დამტკიცებისა, განაჩენზედ-კი ყველამ ერთ-ხმად მოაწერა ხელი. ყველას ეგონა, საქმე ამით დასრულდებაო, რადგანაც საფუძველი არ იყო ვისმე ეფიქრნა, რომ საქმე სხვა რიგად დატრიალდებოდა. ამიტომ, ვისაც ეს განაჩენი საკრებულოსი საამოდ არ დარჩა, ხელ-მეორედ შეუდგნენ მზადებას. მეორე დღემ სულ სხვა ამბავს შეგვასწრო. 21-ს ამ თთვისას, ერთმა წევრმა საკრებულოსამ, ბ-ნმა ნ. პ. პრინცმა, რომელიც არჩევნების გაუქმების მომხრე იყო, ვისაც ჯერ არს, ქაღალდი მიართვა, საფუძვლიანის მოფიქრების შემდეგ არჩევნები კანონიერად ვცანი და ამიტომ არჩევნების დამტკიცების მსურველთ ვემხრობიო. ამ წევრის განცხადებას მეორე წევრმაც, პ. ფ. გერარდიმ, მოაწერა ხელი, ალბად ამანაც საფუძვლიანის მოფიქრების შემდეგ, და ამ რიგად ჩარხი სხვაფრივ დატრიალდა.

დღეს, 22-ს თებერვლისას, შესდგა მეორე სხდომა საკრებულოსი. დაესწრო შვიდი წევრი. სამმა, სახელდობრ ქალაქის თავმა ბ-ნმა ლ. ნ. ასათიანმა, სახელმწიფო ქონებათა მმართველმა ა. ს. გამრეკელმა და ოლქის სასამართლოს წევრმა ა. ი. ფიფინოვმა, განაცხადეს, რომ წინანდელი გარდაწყვეტილება საბოლოო გარდაწყვეტილება არისო, ხელ-მეორედ ამ საქმის განხილვას კანონიერად არა ვსცნობთ და ამის გამო ბჯობაში მონაწილეობას ვერ მივიღებთო. დანარჩენმა ოთხმა წევრმა, ა. ი. ბარონ ფონ-დერ-ბრიუგენმა (ვიცე-გუბერნატორმა), პ. ფ. გერარდიმ, ნ. პ. პრინცმა და ბრალმდებელის ამხანაგმა ბ-ნმა შუხმა ერთხმად დაადგინეს, რომ მესამე რიგის ხმოსანთა არჩევანები კანონიერია და ამიტომ დამტკიცებულ უნდა იქმნასო. ამ სახით საქმე დასრულდა და საცაა ქალაქის თავისა და გამგეობის ერთის წევრის არჩევანებიც დაინიშნება. ამით დასრულდება ის გაწამაწია, რომლის გამო, აგერ თთვე ნახევარია, მთელი ქუთაისი ფეხზედა სდგას. ასე-კი დასრულდა საქმე, მაგრამ ზოგნი ამბობენ, რომ საკრებულოს განაჩენს შორი გზა მოელისო.

# რუსეთი

ოფიციალურ ცნობებიდგანა სჩანს, რომ 1891 წლის თერთმეტის თთვის განმავლობაში (1 დეკემბრამდე) რუსეთის სახელმწიფოს შემოსავალი ჰქონია 776,2 მილიონი მანათი, ე. ი. 32,6 მილიონ მანათით ნაკლები, ვიდრე 1890 წელს 1 დეკემბრამდე. საგანგებო შემოსავალი 1891 წელს—38,1 მილიონი მანათი, ე. ი. 1890 წ. შემოსავალზედ 9,4 მილიონით ნაკლები. სახელმწიფოს მთელი შემოსავალი 1891 წლის 1 დეკემბრამდე არის 814,3 მილიონი მანათი, ე. ი. 1890 წლის შემოსავალთან შედარებით 42 მილიონით ნაკლები. 1891 წლის სახელმწიფოს სხვა-და-სხვა შემოსავალი ამ გვარად შეცვლილა: მოემატა: სახელმწიფო რკინის გზების შემოსავალს 9,4 მილიონი მანათი, თამბაქოს აქციზის შემოსავალს—902 ათასი მანათი, სხვა წყაროებიდგან შემოსავალს 1,2 მილიონი და სხვ. დააკლდა: სასმელების შემოსავალს—17,3 მილიონი მანათი, ნადელების გამოსასყიდ გარდასახადს—13,4 მილიონი, სახელმწიფო თანხისა და ბანკების შემოსავალს—9,3 მილიონი, სატამოჟნო შემოსავალს—2,1 მილიონი, სახელმწიფო ხარჯს—1,5 მილიონი და სხვ. ჩვეულებრივი სახელმწიფო გასავალი 1891 წლის თერთმეტის თთვის განმავლობაში 712,9 მილიონი მანათი იყო, ე. ი. 1890 წელთან შედარებით 21,3 მილიონით ნაკლები. სახელმწიფოს საგანგებო გასავალმა 121 მილიონ მანათამდე მიაღწია, ე. ი. 44,6 მილიონით მეტი დაიხარჯა 1890 წლის საგანგებო გასავალზედ. ამ ფულში ირიცხება ის 39,6 მილიონი მანათიც, რომელიც დახარჯულ იქმნა დამშეულ გუბერნიების სასარგებლოდ. სახელმწიფოს მთელი გასავალი 1891 წლის 1 დეკემბრამდე სულ 911 მილიონი მანათი ყოფილა, ე. ი. 1890 წლის გასავალზედ 39,3 მილიონითა და ამასთანავე 1891 წლის შემოსავალზედ 97,2 მილიონ მანათით მეტი.

— გაზეთ „Нов. Время“-ს სიტყვით, კასპიის ნავთ-სადგურებში დიდ-ძალი პურია შეგროვილი, შუააზიის რუსეთის ქვეყნებში შეკრებილი, რომელიც, დაიწყება თუ არა ნაოსნობა კასპიის ზღვაზედ, დამშეულ გუბერნიებში იქნება გაგზავნილიო.

# უცხოეთი

**გერმანია.** იმპერატორის ვილჰელმის მიერ წარმოთქმულმა სიტყვამ დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია ჟურნალ-გაზეთებში. არც ერთი გერმანელ გაზეთთაგანი თანახმა არ არის იმპერატორის სიტყვისა. ბევრნი პირდაპირა ჰკიცხავენ იმპერატორს და ზოგნი-კი მხოლოდ სიფრთხილითა ლაპარაკობენ და ხალხს უმარტავენ იმპერატორის სიტყვის მნიშვნელობას, თუმცა ამ შემთხვევაშიაც იგივე კიცხვა გამოდის. მაგალითად, „Berliner Tageblat“-ი სწერს: იმპერატორი რომ ბრძანებს, მობუზღუნენი და უკმაყოფილონი წაბრძანდნენ გერმანიიდგანაო, აი რა გამოდის ამ სიტყვით: უკმაყოფილონი არიან ცენტრის მომხრე კათოლიკენი, რომელთაც 1.342,000 ამომრჩეველს მოუყარეს თავი ერთად. თუ ვიანგარიშებთ, რომ თითოეულს მათგანს ხუთი-ექვსი მომხრე მაინც ეყოლება, მაშინ 6 მილიონი ხალხი შესდგება და, იმპერატორის სიტყვით, ესენი გერმანიიდგან უნდა გადასახლდნენ. უკმაყოფილონი არიან აგრეთვე სოციალ-დემოკრატებიც, რომელთაც 427 ათასი ამომრჩეველი ჰყავთ. თუ ამათი მომხრენიც ვიანგარიშეთ, მაშინ კიდევ 6 მილიონს მოუხდება გერმანიიდგან აბარგვა. ნახევარი წილიც კონსერვატორებისა — დეკლარანტებიც უკმაყოფილონი არიან მთავრობისა და კიდეც განაცხადეს ეს თავისი უკმაყოფილება. ესენი და ამათი მომხრენიც რომ განიდევნენ გერმანიიდგან, კიდევ 6 მილიონი ხალხი გვეკარგება. ამ ჟამად ნაციონალ-ლიბერალებიც უკმაყოფილონი არიან მთავრობისა. იმათი თავიდგან მოშორებაც კიდევ 6 მილიონ ხალხის დაკარგვაა. მაშასადამე, იმპერატორის სიტყვა რომ აღსრულდეს და ყველა უკმაყოფილონი და მობუზღუნენი გაეცალნენ გერმანიის იმპერიას, მაშინ ერთბაშად 26 მილიონამდე ხალხი დაგვეკარგებაო, ამბობს დასასრულ ზემოხსენებული გაზეთი.

იმპერატორის სიტყვის შესახებვე „Kölnische Zeitung“-ი სწერს შემდეგს: „ნათლად ვერ შეგნება თავის სიტყვებისა და მოქმედებისა თითქმის დასჩემდა ჩვენს იმპერატორს. ჯერ ყველაფერსა სჩადიან, რასაც-კი ზომიერის პოლიტიკის მოღვაწე უნდა ერიდებოდეს, და შემდეგ თითონვე უკვირთ, როცა საქმე გამწვავდება ხოლმე. გერმანელებს, რომელნიც თავის ბედნიერებად სულიერს თავისუფლებასა ჰხადიან, საბრძოლველად იწვევენ, და კლერიკალებისა და პოლიაკების წინაშე-კი, თითქოს სრულიად უღონონი არიანო, უკან იხევენ. მთავრობას როგორღაც ვერ შეუგნია, რომ ისინი, ვინც ამ ათის წლის განმავლობაში, მიუხედავად ათას გვარის გაკიცხვისა, მომხრენი იყვნენ მთავრობისა, ეხლა გაჰბედავენ და ხმას ამოიღებენ წინააღმდეგ მთავრობისა, რომელმაც ამ ჟამად გზას გადაუხვია. ერთის სიტყვით, ძლიერ გულ-საკლავი ამბავია ეს უკანასკნელი ამბავიო“. შემდეგ გაზეთი განაგრძობს, რომ ეს გარემოება გამოაფხიზლებს ხალხს, შეაგნებინებს ყველა განსაცდელს, რაც-კი მოსალოდნელია, და ერის უკეთესს ძალ-ღონეს გააღვიძებს და ფეხზე დააყენებს, რადგან მხოლოდ ამ გზით მოხერხდება ერის ბედნიერება და კეთილდღეობაო. ყველა მამულიშვილი მოვალეა გაუმკლავდეს ყოველს იმ განკარგულებას მთავრობისას, რასაც მავნებლად მიიჩნევსო. დასასრულ გაზეთი ამბობს: „თვით იმპერატორი ყოველს საქმეში დიდს სიყვარულს იჩენს ერისას. თუ გამბედაობა და მხნეობა გამოვიჩინეთ, შევიძლებთ იმპერატორთან მორიგებას. მაშ გვწამდეს, რომ იმპერატორი კეთილშობილურის აზრით არის განმსჭვალული, შეიგნებს წადილს ერისას და გზასაც იქით მიჰმართავს, საითაც უმრავლესობა მიისწრაფვის. ჩვენ-კი ისევ გერმანიაში დავრჩებით და პატრიოსნურად ვამათის არ მოვიშლითო“.

# წვრილი ამბავი

ნუსხა საფრანგეთის კაბინეტებისა. იმპერიის დამხობის შემდეგ, ესე იგი ოც-და-ორის წლის განმავლობაში საფრანგეთში ოც-და-შვიდი სამინისტრო გამოცვლილა. აი ნუსხა ამ სამინისტროებისა: 1770 წ.—ჟიულ ფავრი იყო მინისტრად; 1871 წ.—დიუფური; 1873 წ.—ჰერცოგი ბროლიი; 1874 წ.—გენერალი დე-სისსე; 1875 წ.—ბიუფე; 1876 წ.—დიუფური (ორჯელ) და ჟიულ სიმონი; 1877 წ.—ჰერცოგი ბროლიი (ორჯელ), გენერალი დე-რომბუე და დიუფური (სამჯერ); 1879 წ.—ვადინგტონი, ფრეისინე; 1880 წ.—ჟიულ ფერრი; 1881 წ.—ლეონ გამბეტტა; 1882 წ.—ფრეისინე (ორჯელ), დიუკლერი; 1883 წ.—ფალლიერი, ჟიულ ფერრი (ორჯელ); 1885 წ.—ბრისსონი; 1886 წ.—ფრეისინე (სამჯერ), გობლე; 1887 წ.—რუვიე, ტირარი; 1888 წ.—შარლ ფლოკე; 1889 წ.—ტირარი (ორჯელ), 1890 წ.—ფრეისინე (ოთხჯერ) და, დასასრულ, 1892 წ. 16 თებერვალს ლუბემ შეადგინა სამინისტრო. რადგანაც საფრანგეთში ათი სამინისტროა, ამდენის ხნის განმავლობაში 200-ზედ მეტი მინისტრი გამოცვლილა. ორთა შუა რიცხვით რომ ვსთქვათ, თითოეულს სამინისტროს ათს თვეზედ მეტი ვერ გაუძლია.

— გამოჩენილმა ბუნების-მეტყველმა ბიუფონმა ერთხელ რამდენიმე მეგობარი მეცნიერი დაჰპატიჟა სადილად. სადილს შემდეგ ბიუფონი და იმისი სტუმრები ბაღში ჩავიდნენ სასეირნოდ. სტუმრებმა ყურადღება მიაქციეს ერთს დიდს, შუშის ბურთს, რომელიც ბაღში ეგდო. ვიღამაც ამ ბურთს ხელი დაადო და შეატყო, რომ ბურთის ის გვერდი, რომელსაც მზე ადგა, უფრო ცივი იყო, ვიდრე მეორე გვერდი, რომელსაც ჩრდილი ადგა. სტუმრებმა სათითაოდ ხელი დაადეს ბურთსა და მართალი აღმოჩნდა. მეცნიერებმა დაიწყეს ამის შესახებ სჯა და ბაასი. ყველა თავისს მოსაზრებას ამბობდა: ერთმა სთქვა, რომ ჩრდილში მყოფი გვერდი იმიტომ არის უფრო თბილი მზეში მყოფ გვერდზედ, რომ მზის შუქი ამ მხარეს შეკრებილაო. მეორე იძახდა, რომ ფარულ სითბოს ბრალიაო. მესამე კიდევ ამტკიცებდა, რომ შუშის ბურთში მზის შუქი გადამტყდარა და სხვაო. ბოლოს მეცნიერებმა ერთ-ხმად აღიარეს, რომ ეს კანონიერი მოვლენაა და დაჩრდილული ბურთის გვერდი უეჭველად უფრო თბილი უნდა იყოს მზეში მყოფზედაო. ბიუფონმა მებაღეს დაუძახა და ჰკითხა:

„—შენ როგორ გგონია, ამ ბურთის ჩრდილში მყოფი გვერდი მზეში მყოფ გვერდზედ უფრო თბილი რად არის?

„—რადა და იმიტომ-რომ მე მოვაბრუნე, რადგანაც ერთი გვერდი ძლიერ იყო გახურებული მზისაგანაო, უპასუხა მებაღემ.

# ბიბლიოგრაფია

(„წყარო“, სახელმძღვანელო მოსამზადებელ კლასებისათვის, შედგენილი არ. ქუთათელაძის მიერ)

(დასასრული. იხ. „ივერია“ № 41)

არის თუ არა კანონიერი ქართული და თანაც მარტივი და ბავშვებისათვის გასაგები? ჯერ სიმარტივეზე მოგახსენებთ. საბავშვო მოთხრობები ისეთის წინადადებით უნდა დაიწყოს, რომ არც ორ-აზროვანი რამ გამოდიოდეს და არც გამოსაცნობი რამ რჩებოდეს. ყოველი წინადადება თავისს აზრს ნათლად უნდა ეუბნებოდეს, თუნდა რომ შესვენების ნიშნებიც სრულიად არ იყოს აღნიშნული. მაგრამ ბ-ნ ქუთათელაძეს თავშივე ისეთი წინადადებანი აქვს ნახმარი, რომ შესმენილი საგულისხმებელია წინ წაკითხულის მესამისა და მეორის წინადადებისა და ან კიდევ ხელითა და სახით ნიშნება (მიმიკა) არის საჭირო, რომ ბავშვი აზრს მიჰხვდეს. აი მაგალითი: „ლომმა უთხრა: თუ გაგიჭირდება, მე ჩემს ძალას მოგახმარო. ვირმა მოახსენა (ძლიერ ზრდილობიანი ვირი ყოფილა!): მე ჩემს ფეხ-მალობასაო. აქ ბავშვისთვის საგულისხმებელი მთელი წინადადებაა და შესმენილ უკანასკნელის წინადადებისა, სახელდობრ, თუ გაგიჭირდა... მოგახმარო. აბა ახლა წაშალეთ ზემოდ მოყვანილს წინადადებაში შესვენების ნიშნები და ბავშვს ისე წააკითხეთ. ბავშვი იმდენადვე მიჰხვდება ავტორის აზრს, რამდენადაც ის, ვისაც სულ არ წაუკითხავს ხსენებული მოთხრობა. ამ გვარს ნიმუშებს ძლიერ უხვად შეჰხვდება კაცი „წყარო“-ში. ამასთანავე შევნიშნავთ, რომ ზემოხსენებული წინადადება და მსგავსნი მისნი წიგნის მეხუთე გვერდზედვეა გამოჭიმული.

არც ენის კანონიერობა არის დაცული „წყაროში“. აქ მგონი საჭირო არ არის დაწვრილებით გრამატიკულად განხილვა მრავალის მაგალითისა. დავასახელებთ მხოლოდ რამდენსამე ნიმუშს და მსჯავრის დადებას თვით მკითხველებს მივანდობთ. აი ნიმუშებიც „წყაროს“ შემდგენელის ქართულისა. ჯერ წინასიტყვაობაშივე სწერია: „სურათს წიგნში დიდი მნიშვნელობა აქვს მოზარდ თაობისათვის, რომ გავლილი სტატია (გავლილი სტატია რაღა ამბავია? ცხენებით გავლილათ, თუ ურმით?) უფრო მტკიცედ ჩაებეჭდოს გონებაში, დააფიქროს და დააკვირვოს (ვის ჩაებეჭდოს, ვინ დააფიქროს, ვინ დააკვირვოს?) და“... „ეგ სასურველი წადილი („სასურველი წადილი“ масло масляное) ამ გამოცემაშივე ვერ მოვათავსეთ“. რამოდენა უნდა იყოს ის სასურველი წადილი, რომ 200 კაბადოვანს წიგნში ვერ მოუთავსებია, და ან რასა ჰქვიან წადილის მოთავსება გამოცემაში!? წინასიტყვაობაშივე: „რომელიც (სურათები) ყველა რიგიანად მართულ სკოლაში...“ მეჯლისში წასასვლელად ხომ არ ემზადება ქალბატონი სკოლა, რომ მორთულა, მოკაზმულა, ფერ-უმარილი წაუსვამს და ჩიხტი და კოპი გაუკეთებია? მაგრამ მგონი ბ-ნ წიგნის შემდგენელს, მორთულის მაგიერ, მოწყობილი უნდა ეთქვა. იმავე წინასიტყვაობაში ბ-ნი ქუთათელაძე გვეუბნება: „საჭიროდ დავინახეთ აგრეთვე „სიბრძნე-სიცრუის“ წიგნიდგან ამოღებულ არაკების სიტყვის-წყობილება შეგვეცვალა,.. სი-

ტყვები-კი თითქმის ყველა იგივე დავტოვეთ“. აი ამაზე იტყვიან ხოლმე, ზოგი მეგობარი მტერზედ უარესიაო. დაიცათ, თუ ღმერთი გწამთ, განა „წყაროს“ შემდგენელის სიტყვის-წყობილება ს. ს. ორბელიანისას სჯობია და ან იოტის ოდნად შეედრება-კი? რამ გააბედვინა ს. ორბელიანის სიტყვის-წყობილების შეცვლა?.. იქნება იმას ამბობს „წყაროს“ შედგენელი, რომ ორბელიანის ენა ძველი ენაა და ძნელი გასაგებიაო. არა, ბატონო, სცდებით, ის ძველი ორბელიანის ენა უფრო რიგიანი ქართულია და ადვილად გასაგები, ვიდრე თქვენი და ჩემი ეხლანდელი ქართული. ს. ს. ორბელიანის სიტყვის-წყობილება ამ გვარად შეიცვალოს!! ვაი ჩვენს დაქვეითებას! სიტყვები რომ შეეცვალა, კიდევ არაფერი, მაგრამ არა, სწორედ ის შეუცვლია, რისთვისაც ხელი არ უნდა ეხლო. ენისა საქმე სიტყვები-კი არ არის, სწორედ ისაა, რასაც ბ-ნი ქუთათელაძე სიტყვის-წყობილებას უწოდებს. რუსებს 100,000 მეტი უცხო ენებიდგან აღებული სიტყვა აქვთ, მაგრამ რაკი სიტყვის-წყობილება თავიანთივე აქვთ, რუსულს ენას უწოდებენ.

გაჭიანურებისა რომ არ გვერიდებოდეს, აქვე მოვიყვანდით ორბელიანის იგავებს უცვლელად და ბ-ნ ქუთათელაძის მიერ გადაკეთებულებსაც. ამის გამო მხოლოდ ვთხოვთ მკითხველებს შეადაროს „წყაროს“ მე-124 ამბავი—გლახაკი და სიზმარი საბა-სულხან ორბელიანის იმავე ამბავს, რომელიც მოქცეულია „სიბრძნე-სიცრუის“ წიგნში, გვერდი 8, მესამე გამოცემა. საბა ხმარობს სიტყვას—კირმანეული, „წყაროს“ შემდგენელი-კი ამის მაგიერ სიტყვას—ფული. განა კირმანეული და ფული ერთია? კირმანეული ზომაა, საწყაოა, ხოლო ფული საზოგადო სახელია.

გარეგნობითაც „წყარო“ ვერ არის რიგიანი. შემდგენელს „წყარო“-ს წიგნის თავშივე აქვს ამოწერილი 43 კორექტურული შეცდომა, მაგრამ წიგნში-კი ათი იმდენი კიდევ სხვა მოიპოვება. ამას მგონი დაუდევრობას ეძახიან. ასოებიც მთელის წიგნისა ყველა მოთხრობაში ძლიერ სხვილია. არ ვიცით, რად მოქცეულა ასე ბ-ნი ქუთათელაძე? მართალია, როცა ბავშვს კითხვას აწყებინებენ, დიდს ასოებს ხმარობენ წიგნში და ისიც მხოლოდ თავში, მაგრამ განა „წყარო“ ანბანის შესასწავლელი სახელმძღვანელოა? ჩვენის აზრით, წიგნის მომეტებულს ნაწილში მაინც ისეთი ასოები უნდა ყოფილიყო ნახმარი, რომელიც საზოგადოდ მიღებულია.

საკვირველია და გასაოცარი, რომ ამ გვარნი მცოდნენი პედაგოგიისა და ქართულისა ჰბედავენ და სახელმძღვანელოების შედგენას კისრულობენ. სწორედ სამწუხაროა, რომ თავიანთს თავსაც ასე უღვთოდა სტანჯავენ და ყმაწვილებსაც კიდევ უარესად. მაგრამ ამაზედ საოცარი და განსაცვიფრებელი შემდეგი გარემოებაა. ბ-ნმა „Ц“-მა გაზეთს „Нов. Обоз.“-ში № 2774 წერილი დაჰბეჭდა „წყაროს“ შესახებ და სხვათა შორის შემდეგი სთქვა: „წყარო სწორედ რომ საუნჯეა ქართულის საპედაგოგიო ლიტერატურისაო“. ვაი ჩვენი ბრალი! „წყარო“ რომ საუნჯედ მივიჩნიოთ, რაღა უნდა იყოს მაშინ სხვა შუათანა ღირსების ქართული წიგნები!!

„Ц“-ანივე სწერს: „ბ-ნი ა. ქუთათელაძე ერთი იმ იშვიათ პედაგოგთაგანია, რომელთაც საფუძვლიანად იციან ქართული ენა და სამშობლო პოეზიაო“. პოეზიის შესახებ ჩვენ არას ვიტყვით, რადგან ამისი ცოდნა და უცოდინარობა არაფერში გამოუჩენია ბ-ნს ქუთათელაძეს, მაგრამ თუ იმისს ქართულის ცოდნას საფუძვლიანს ცოდნას უწოდებდა ვინმე, ამას-კი ვერ მოვიფიქრებდით. მახლას!

„წყაროს“ ბოლოში ჩართული აქვს რამდენიმე ამბავი საქართველოს საეკკლესიო ისტორიისა და ლოცვებიც. ამის შესახებ ვიტყვით მხოლოდ შემდეგს: ლოცვები რომ სულ არ მოექცია „წყაროში“, უკეთესი იქნებოდა, რადგანაც საღმრთო სჯული სულ სხვა საგანია და ქართული ენა კიდევ სხვა.

სასხლემა

# განართობი

## საათი და ადამიანი

(ისპანურიდგან)

საათისათვის მავთული იგივეა, რაც სტომაქი ადამიანისათვის: ერთსაცა და მეორესაც მოძრაობაში მოჰყავთ მთელი ჩარხები.

ძნელად შეხვდებით ორს ადამიანს, რომ ერთის აზრისა და ფიქრისანი იყვნენ; სწორედ ასევე ძნელად გამოსძებნით ორს საათს, რომ ერთი და იგივე დრო გიჩვენოთ.

ზოგიერთი ძვირფასი ოქროს საათია, მაგრამ ჩარხები გროშად არ უვარგა, და ზოგიერთს შეძლებულს კაცსაც გული ცალს ფულად არ უღირს.

საათი ისყიდება; სამწუხაროდ, ხშირად ადამიანის მოსყიდვაც შესაძლებელია.

საათი სცემს და ადამიანი-კი უფრო ხშირად სცემს, ვიდრე საათი.

ზოგიერთი საათი მანათზედ მეტი არა ჰღირს; ასეთს საათს ყმაწვილების სათამაშოდა ყიდულობენ; ზოგიერთი ადამიანიც ამაზედ მეტად არა ჰღირს: იმათაც ქალები თავისს ნებაზედ ბუქნას ათამაშებენ.

საათი დროს გვიჩვენებს თავისის ერთ გვარის ტკაც-ტკაცით და ადამიანი—თავისის ერთ გვარისავე გულის ძაგა-ძუგით.

ადამიანსაც, საათსავით, ჭეშმარიტებას ძნელად გამოათქმევინებთ.

ცოლიანი კაცი ინგლისის ხრონომეტრსა ჰგავს: ერთს თთვეს ჯაჭვით დაბმული ჰყავთ და მერე აუშვებენ ხოლმე.

დაუდეგარი, მოღალატე და ტრფიალის ადვილად გამცვლელი ქალი საათსა ჰგავს, რომელიც სიმართლით დროს ვერასოდეს ვერ შეგატყობინებთ.

მოკასხე, ფულის სესხად გამცემი ოფოფიანს საათსა ჰგავს, რომელიც დაწყებულს კვდაზედ გამოჰყოფს ხოლმე თავს.

პოეტი—ზარიანი საათია; ზარს კარგადა სცემს, მაგრამ სიარულით-კი ყოველთვის ცუდად დადის.

ორატორ-დიპლომატები სწორედ რეპეტიციის საათებსა ჰგვანან.

რამდენისამე ადამიანის ერთს აზრზედ პირ-მტკიცედ დგომა სწორედ რამდენისამე საათის ერთს კვდაზედ სიარულს ემსგავსება; სამიოდე დღეზედვე ადამიანთ უთანხმოება და აზრის სხვა-და-სხვაობა ჩამოუვარდებათ, საათები-კი ერთმანეთის გზას სულ გადასცდებიან და ზოგი წინ დაიწყებს ხოლმე სიარულს, ზოგი—უკან ჩამორჩება.

რომ მოისურვოთ შეტყობა, რის შესახებ ბაასობს ოთხი, ერთად თავ-მოყრილი, ქალიო, ეგ სურვილი სწორედ იმას ემსგავსება, რომ მესაათესთან შეხვიდეთ, სადაც ორმოც-სამოცამდე საათი ჰმუშაობს, და საათის, დროს შეტყობას მოინდომოთ.

რეტროგრადი წარმატებისა და წინსვლის სიუგუნეში სწორედ აგურებიანს საათს ემსგავსება: ისრები რაც უფრო წინ მიდის და უახლოვდება ერთმანეთს, აგურები ქვემოდ იწევს.

საათის სისწორე ისევე ძნელად მოსაკითხია, როგორც ისა, რომ ადამიანს თავისის მოვალეობის ასრულება მოჰკითხოთ.

საათის წახდენილს ჩარხს თითქმის ყოველთვის ასწორებს მესაათე; ის-კი იშვიათად მოხდება ხოლმე, რომ ექიმმა შეიძლოს და კარგა ხნის წამლობით სტომაქი გაუსწოროს ადამიანს. რაღა თქმა უნდა, თუ არჩევანზედ მიდგება საქმე, ამ ორს ჩარხს შორის ისევ პირველი ჩარხი სჯობია მეორეს.

ა—ი

# დეპეშა

24 თებერვალი

**პეტერბურგი.** „Новое Время“ იუწყება, რომ გენერალ ანენკოვის ხელმძღვანელობით უნდა აწარმოვონ შემდეგი სამუშაოები: გაკაფონ 25,000 დესეტინა ტყე რამდენსამე გუბერნიაში, ქვა ატეხინონ ორს მაზრაში, ხელსაქმე აკეთებინონ ეპიფანეს მაზრაში, გამართონ ნავთ-სადგური სამარაში, გააკეთონ სასოფლო გზები ტამბოვის გუბერნიაში, სამი ელევატორი იმავე გუბერნიაში, და ააშენონ სკოლები სხვა-და-სხვა ადგილას. ამას გარდა აპირობენ აშენებას მრავალის ეკკლესიისას, სკოლებისას და მუშებისთვის პატარ-პატარა სახლებს, როგორც საზღვარ-გარედ იციან. ხაზინა შინა მრეწველებს სხვა-და-სხვა საქმეს შეუკვეთავს.

„Бирж. Вѣд.“ იუწყება: პურეულობის საქმის კომისიას წარედგინა მოხსენება იმის შესახებ, რომ ნება დაერთოთ ქუთაისის გუბერნიიდგან $1^1/_2$ მილიონ მანათის სიმინდის გატანისა საზღვარ-გარედაო, მაგრამ უარი ითქვა ამ თხოვნაზეო.

**მოსკოვი.** დიდი მთავარი სერგეი ალექსანდრეს ძე მეუღლითურთ დარმშტატში მიემგზავრება, რადგან იქ მისის უმაღლესობის სიმამრი დიდი ჰერცოგი ჰესსენისა ავად გამხდარა.

25 თებერვალი

**პეტერბურგი.** უმაღლესის ბრძანებით ნება დართულ იქმნა ქუთაისის გუბერნიიდგან თავისუფლად სიმინდის გატანა სამზღვარს გარედ. ეს ნება-რთვა არ შეეხება იმ სიმინდს, რომელიც მიტანილ იქმნება ქუთაისის გუბერნიაში რკინის გზით სხვა ადგილებიდან, ან შავი ზღვის იმ ნავთსადგურებიდან, რომელიც ქუთაისის გუბერნიის გარეშე მდებარეობენ.

პეტერბურგის ბირჟა, 21 თებერ.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | — „ | 7, 02 | — „ |
| ტამოჟნის კუპონები . | — „ | 158 | — „ |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | — „ | 1, 16 | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | $236^1/_2$ | — „ | — „ |
| —მეორისა . . . . | $226^1/_4$ | — „ | — „ |
| —მესამისა . . . . | — „ | — „ | — „ |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . . | $198^1/_4$ | — „ | $200^1/_2$ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6%. . . . . . | — „ | — „ | — „ |
| 5%. . . . . . | — „ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა 6%. | — „ | — „ | — „ |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | — „ | — „ | — „ |

## გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

1892 წ. 18 იანვრიდამ ახალ განკარგულებამდე.

თეთრი პური რუსული 1 გირ. „ კ.
წითელი „ 1-ის ხარისხ. „ „ „
„ „ 2
თონ. წით. პურ. 1 ხარ. „ „ „
„ „ „ 2 „ „ „
„ „ „ 3 „ „ „

ჯვარის მამის პურის ლავაში.

1-ის ხარ. პურ. ლავაშ. 1 გ. კ.
მე-2 „ „ „ „ „
მე-3 „ „ „ „ „
ძროხის ხორცი 1-ის ხარისხისა 8 „
„ „ 2 „ „
სუკი — — — 14 „
ცხვრის ხორცი — — 8 „
ღორ. ხორ. უტყაოდ 1 ხარ. 1 გ. 7 „
მე-2 ხარ. ტყავიანად 6 „

## რკინის გზის მიმოსვლა

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო მატარებელი 9 ს. 30 წ. დილ.

„ . . . , . . „ . 6 ს. 50 წ. საღ.

ბათუმიდგან ტფილისს მოდის. . 9 ს. 52 წ. საღ.

„ . . . . . . „ . . 12 ს. 25 წ. შუაღ.

ტფილისიდგან ბაქოს მიდის 1 ს. 25 წ. შუაღღ.

ბაქოდგან ტფილისს მოდის „ . . 5 ს. 50 წ. საღ.

ტფილისსა და განჯას შუა.

ტფილისიდგან განჯას მიდის . . 9 ს. 20 წ. საღ.

განჯიდგან ტფილისს მიდის „ . . 7 ს. 30 წ. დილ.

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის:

ხუთშაბათობით: დილით 4 საათზე; მოკლე გზით, შეივლის ნოვოროსიისკში, ვირაობით ღამის 2 საათზე, შორის გზით, შეივლის ფოთსა და ყველა ნავთსადგურში. ორშაბათობით, საღამოს 7 საათზე, საზღვარ გარედ სტამბოლში.

ბათუმში მოდის:

ორშაბათობით: საღამოზე, ოდესიდგან, შორის გზით. პარასკეობით, დილით, ოდესიდგან, მოკლე გზით, გამოივლის კერჩსა და ნოვოროსიისკზე. კვირაობით, დილით, სტამბოლიდგან.

ფოთში მოდის:

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირა დილით, განთიადისას.

საფოსტო და სახალხო ოდესიდგან ორშაბათობით, დღისით.

სახალხო და საქონლისა კვირაობით, საღამოზე, ოდესიდგან. სახალხო და საქონლისა ბათუმიდგან ხუთშაბათობით, განთიადისას.

ფოთიდგან გადის:

საფოსტო და სახალხო ოდესაში და ყველა ნავთსადგურში შეივლის, კვირაობით, დილის 8 საათზე

საფოსტო და სახალხო ორშაბათობითი საქმის გათავების შემდეგ ბათუმში.

სახალხო და საქონლისა ბათუმში, სამშაბათობით, დილის 10 საათზე.

სახალხო და საქონლისა ხუთშაბათობით, ოდესაში და ყველა ნავთ-სადგურში შეივლის.

საქონლისა და სახალხო გემზე II და III კლასის მოგზაურები მიიღებიან უსაგზლოდაც.


# განცხადებანი

კბილის ექიმი
**ა. ი. ორბელი**
სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16
ავადმყოფებს მიიღებს:
დილით 8-დგან 10 საათამდე.
საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.
კვირა-უქმე დღეებში
დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (150—25)

დაიბეჭდა და ისყიდება
ქართულ წიგნების ამხანაგობის მაღაზიაში და წერა-კითხვის კანცელარიაში:
**სამშობლო ქვეყნის მოგზაურებები**
დიმიტრი ბაქრაძე
ფასი 20 კაპ.

სომეხთა ნერსესიან სასულიერო სემენარიის სამზრუნველოს სადგომში

4 მარტს 1892 წლისა, საღამოს 8 საათზე, ვაჭრობა მოხდება (განუმეორებლად) იჯარით გასაცემად სომეხთა ეკკლესიებისთვის წმინდა სანთლის ყიდვისა.

პირობათა შეტყობა შეიძლება სამზრუნველოს კანცელარიაში ყოველ დღე, გარდა კვირა უქმეებისა, დილის 10—12 საათამდე. (3—3)

**ხომლი** ანუ რჩეულთა ლექსთა კრება მოზრდილ ყრმათათვის, შედგენილი იაკობ გოგებაშვილის მიერ დაიბეჭდა მეორე გამოცემით წერა-კითხვის საზოგადოების მიერ. წიგნი მოწონებულია განათლების სამინისტროსა და უწმინდესის სინოდისაგან სკოლებში სახმარებლად. ღირს ექვსი შაური. ვინც ნაღდს ფულზედ იყიდის ოცდა ათს ცალსა, ან მეტსა, წიგნი დაეთმობა 25 კაპეიკად. წიგნი ისყიდება წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში, არწრუნისეულს ქარვასლაში № 125 და 126.


Дозв. ценз. Тифлисъ, 25-го Февраля 1892 г. სტამბა მ. შარაძის. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.